მოსალოდნელი შედეგი	ფუნქციონირებადი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები	დაფინანსება ათ. ლარში
	02 07		2 371,1
პროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცით მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. მიზანი - სოფლებში მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით ინფრასტრუქტურის მოწესრიგება.		
მოსალოდნელი შედეგი	სოფლებში მოწესრიგებულია ინფრასტრუქტურა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	სამოქალაქო ინიციატივების განხორციელების ხელშეწყობა	დაფინანსება ათ. ლარში
	02 08		3 927,8
პროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცით მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის განაწილებისა და ხარჯების პროცესში მოქალაქეების ინტერესის გათვალისწინება სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს თანამედროვე დემოკრატიული მმართველობისა და მოქალაქეთა ჩართულობისათვის. გორის მუნიციპალიტეტის მხრიდან ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი გარკვეული თანხები ადგილობრივი მოსახლეობის ინიციატივების შესაბამისად, საშუალებას მისცემს მუნიციპალიტეტის მკვიდრთა განხორციელონ მათთვის მნიშვნელოვანი პროექტები. მიზანი - საზოგადოების ჩართულობა მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტის პროცესში. ამ მიზნის მისაღწევად საუკეთესო სფეროა თვითმმართველობის ფინანსური პოლიტიკის ფორმირება და მისი შემუშავებით მუნიციპალიტეტის განვითარების მიმართულებების განსაზღვრა.		
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია მოსახლეობის ჩართულობა ადგილობრივი ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში და წარმოდგენილი ინიციატივების შესაბამისად მოწესრიგებულია ინფრასტრუქტურა.		

პროგრამის	კოდი	სტიქიის შედეგების ლიკვიდაცია	დაფინანსება
-----------	------	------------------------------	-------------

დასახელება	02 09	ათ. ლარში
პროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცით მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური	574,7
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელება. მიზანი - სტიქიით მიყენებული ზიანის ლიკვიდაცია.	
მოსალოდნელი შედეგი	ლიკვიდირებულია სტიქიით მიყენებული ზიანი.	

პროგრამული კოდი	დასახელება	2025 წელი
03 01	დასუფთავება და ნარჩენების მართვა	4,888.9
03 01 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	4,688.9
03 01 02	საყოფაცხოვრებო ნარჩენების შემკრები კონტეინერების შეძენა	200.0
03 02	რეკრეაციული სივრცეების მოვლა-პატრონობა	1,310.8
03 02 01	პარკების, სკვერების, გაზონების და მწვანე ნარგავების მოვლა-შენახვა	1,310.8
	სულ	
	დასუფთავება და გარემოს დაცვა	6,199.7

პროგრამის დასახელება	კოდი	დასუფთავება და ნარჩენების მართვა	დაფინანსება ათ. ლარში
პროგრამის განმახორციელებელი	03 01		4 888,9
პროგრამის აღწერა და მიზანი	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტო გორის მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ მიმდინარე პროექტს წარმოადგენს. პროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტო ახორციელებს ქალაქში ყოველდღიურად დაგვა-დასუფთავებით სამუშაოებს, ქალაქისა და მუნიციპალიტეტში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულებიდან საყოფაცხოვრებო ნაგვის ნარჩენების მოგროვებასა და გატანას. მიზანი - მუნიციპალიტეტში ეკოლოგიურად სუფთა გარემოს უზრუნველყოფა.		
მოსალოდნელი შედეგი	გაუმჯობესებულია მუნიციპალური ნარჩენების მართვა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	დაფინანსება ათ. ლარში
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	03 01 01		4 688,9
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტო ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტო ახორციელებს ქალაქში ყოველდღიურად დაგვა-დასუფთავებით სამუშაოებს, ქალაქისა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან საყოფაცხოვრებო ნაგვის ნარჩენების მოგროვებასა და გატანას. ქალაქის გარდა, სამუშაოები ხორციელდება მუნიციპალიტეტში შემავალ 78 სოფელში. ქალაქში განთავსებულია 586 სანაგვე ურნა, რომლის დიდი ხდება ყოველდღიურად, ხოლო დაახლოებით 350 სანაგვე ურნა ივლინა დღეში 2-ჯერ. მუნიციპალიტეტის სოფლებში განთავსებულია 1634 სანაგვე ურნა, რომლებიც ივლინა დადგენილი გრაფიკის მიხედვით. შეგროვებული ნარჩენები გადის ქალაქის (ვერნაკის) ნაგავსაყრელზე. მერიიდან დადგენილი სპეციალიზირებული მანქანების სველი წესით დამუშავდება. ზამთრის სეზონზე დგება მორიგების გრაფიკი, საჭიროების შემთხვევაში ქალაქის ქუჩებში ვახდენთ მარილის მომწვებას. მიზანი - დასუფთავებული და მოვლილი მუნიციპალიტეტის ტერიტორია. უზრუნველყოფილია მუნიციპალური ნარჩენების მართვა და საზოგადოებრივი სივრცეების დაგვა-დასუფთავება.		
მოსალოდნელი შედეგი			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საყოფაცხოვრებო ნარჩენების შემკრები კონტეინერების შეძენა	დაფინანსება ათ. ლარში
ქვეპროგრამის	03 01 02		200,0
გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცით მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური			

განმახორციელებელი	
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვითა და მოხაზი
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვითა და მოხაზი - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება.

პროგრამის დასახელება	კოდი	რეკრეაციული სივრცეების მოვლა-პატრონობა	დაფინანსება ათ. ლარში
	03 02		1 310,8
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტო		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სვერებისა და პარკების მოვლა-პატრონობა. კერძოდ: სვერებისა და გაზონების დასუფთავება, ტარდება მრავალწლიანი ნარგავების და ბუჩქების მოვლა-პატრონობა (მრავალწლიანი ნარგავების გასხვლა, ბუჩქების დეკორატიული კრეპა, ნიადაგის მომზადება, გაფხვიერება, მოწყვება, ბალახის გათიხვა, მოწამლა, მინერალური სასუქების შეტანა და სხვა). სვერებისა და გაზონებში ხდება ერთწლიანი ყვავილანობის მოწყობა და მრავალწლიანი (სხვადასხვა ჯიშის) ნერგების დარგვა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხდება მრავალწლიანი ნარგავების გადამღვრა და ამორტიზირებული ხეების მოჭრა. ხდება გათიხვის, გასხვლის და მოჭრილი მორების გატანა. ქვეპროგრამის ფარგლებში აგრეთვე ხორციელდება საწარგო მუშაობების მოვლა-პატრონობა. კერძოდ: ხდება ერთწლიანი ყვავილის ჩითილების გამოყვანა, მრავალწლიანი ნარგავების დათესვა, დაკალმება. ასევე ხორციელდება დასვენების პარკი „ახალბაღის“ მოვლა-პატრონობა. მიზანი - გაუმჯანსაღებული გაზონები და დასვენებისათვის შექმნილი მოწყობილობები რეკრეაციული სივრცე.		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში გაუმჯობესებულია ეკოლოგიური მდგომარეობა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	პარკების, სვერების, გაზონების და მწვანე ნარგავების მოვლა-შენახვა	დაფინანსება ათ. ლარში
	03 02 01		1 310,8
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტო		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სვერებისა და პარკების მოვლა-პატრონობა. კერძოდ: სვერებისა და გაზონების დასუფთავება, ტარდება მრავალწლიანი ნარგავების და ბუჩქების მოვლა-პატრონობა (მრავალწლიანი ნარგავების გასხვლა, ბუჩქების დეკორატიული კრეპა, ნიადაგის მომზადება, გაფხვიერება, მოწყვება, ბალახის გათიხვა, მოწამლა, მინერალური სასუქების შეტანა და სხვა). სვერებსა და გაზონებში ხდება ერთწლიანი ყვავილნარის მოწყობა და მრავალწლიანი (სხვადასხვა ჯიშის)ნერგების დარგვა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხდება მრავალწლიანი ნარგავების გადამღვრა და ამორტიზირებული ხეების მოჭრა ხდება გათიხვის, გასხვლის და მოჭრილი მორების გატანა. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება საწარგო მუშაობების მოვლა-პატრონობა. კერძოდ: ხდება მრავალწლიანი ნარგავების დათესვა-დაკალმება. მიზანი - გაუმჯანესებული გაზონები და დასვენებისათვის შექმნილი მოწესრიგებული რეკრეაციული სივრცე.		
მოსალოდნელი შედეგი	მოვლილი და გაუმჯანესებულია პარკები, სვერები და გაზონები და დასვენებისათვის შექმნილია მოწესრიგებული რეკრეაციული სივრცე.		

პროგრამული კოდი	დასახელება	2025 წელი
04 01	სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა	18,431.6
04 01 01	სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაცია	721.1
04 01 02	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების ხელშეწყობა	17,710.5
04 02	განათლების ხელშეწყობა	2,633.9
04 02 01	სკოლისგარეშე განათლების ხელშეწყობა დათანადაფინანსება	160.0
04 02 02	საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება და	2,473.9

მოსწავლეობა ტრანსპორტით უზრუნველყოფა		
ხელ განათლება		21,065.5

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა	დაფინანსება ათ. ლარში
	04 01		18 431,6
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იმ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტო		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს მოსახლეობისათვის საყოველთაოდ და თანაბრად ხელმისაწვდომ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდებას, ასევე ინკლუზიურ განათლებას, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში განათლების ხარისხის ამაღლებას, აღმზრდელ-პედაგოგთა გადამზადებას. მიზანი - სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა.		
მოსალოდნელი შედეგი	გაზრდილია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ხელმისაწვდომობა და და შექმნილია ბევრთა განვითარებაზე ორიენტირებული მაღალი სტანდარტების სააღმზრდელო გარემო, გადამზადებულია აღმზრდელო-პედაგოგები.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაცია	დაფინანსება ათ. ლარში
	04 01 01		721,1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცით მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების სარეაბილიტაციო სამუშაოები. მიზანი - საბავშვო ბაღების ინფრასტრუქტურის განვითარება და კეთილმოწყობა.		
მოსალოდნელი შედეგი	რეაბილიტირებული, სტანდარტების შესაბამისი პირობების მქონე სკოლამდელი დაწესებულებები.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების ხელშეწყობა	დაფინანსება ათ. ლარში
	04 01 02		17 710,5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იმ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტო		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს სკოლამდელი განათლება ბავშვთა აკადემიური და სოციალური განვითარების მნიშვნელოვანი საფეხურია. ბავშვს, რომელიც ხარისხიან სკოლამდელ აღზრდას გადის, გაეცნობა უკეთესი მაჩვენებელი აქვს სკოლაში და შემდგომ. სკოლამდელ განათლებაში ინტეგრირება არის ერთ-ერთი საუკეთესო ინტეგრირება არა მხოლოდ ბავშვში, არამედ საზოგადოებაში. სკოლისათვის და შემდგომი ცხოვრებისათვის მზაობის ხელშეწყობა მრავალმხრივი პროცესია და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით ბავშვის სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბების მყარ საფუძვლს წარმოადგენს. როდესაც ბავშვი სათანადოდ არის განვითარებული სასკოლო მზაობის კუთხით, იგი ბევრად უფრო წარმატებულია განათლების შემდეგ ეტაპზე (სკოლა, უმაღლესი სასწავლებელი და სხვა) და ეს მნიშვნელოვნად განაზღვრავს მის ცხოვრებისეულ წინსვლას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ძლიერი და მდგრადი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის უზრუნველყოფა გორის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტის განვითარებასთან ერთად დღითიდღე იზრდება მოთხოვნა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებზე. არსებული მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღები რთულად უზრუნველყოფენ მოთხოვნის არულობა დაკმაყოფილებასავე ქმნის ახალი ბაღების მშენებლობის აუცილებლობას. გარდა ამისა, სააღმზრდელო პროცესის ხარისხიანად მართვად მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუდმივ განახლებასა და აღმზრდელობა პერმანენტულ პროექტული გადამზადებას მოითხოვს. არსებული სიტუაციის ანალიზიდან და მოტივაციითა საჭიროებებიდან გამომდინარე, გორის მუნიციპალიტეტისათვის პრიორიტეტულია სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი, საყოველთაოდ და თანაბრად ხელმისაწვდომი, ინკლუზიური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა მოსახლეობისათვის. პროგრამა ითვალისწინებს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში განათლების ხარისხის ამაღლებას,		

	აღმზრდელ-პედაგოგთა გადამზადებას, სააღმზრდელ-საგანმანათლებლო პროექტის ორგანიზებას, კვების ორგანიზებასა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების შესაბამისობაში მოგვანას საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის დადგენილებით განსაზღვრულ სტანდარტებთან, მეთოდური მიმართულების გაუმჯობესების მიზნით სამეცნიერო ბაზის აღსაზრდელისათვის სხვადასხვა სახეის ლიტერატურისა და სათამაშოების შესყიდვას, სკოლაში აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შევსება-განახლების მიზნით ავეჯის, საოჯახო ტექნიკის, სამზარეულოს ჭურჭლის, სხვადასხვა ქიმიკატის ნივთებისა და სხვა საჭირო ინვენტარის შესყიდვას, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების კონტროლის მიზნით საკვები პროდუქტებისა და სახელო წყლის ლაბორატორიულ კვლევებს. მიზანი - სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი სკოლაში აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა.
მოსალოდნელი შედეგი	გაზრდილია სკოლაში აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ხელმისაწვდომობა და შექმნილია გარემო განვითარებაზე ორიენტირებული მაღალი სტანდარტების სააღმზრდელ გარემო.

პროგრამის დასახელება	კოდი	განათლების ხელშეწყობა	დაფინანსება ათ. ლარში
	04 02		2 633,9
პროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	აღნიშნული პროგრამა ხელს შეუწყობს: გორის მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლებში კლასგარეშე აქტივობების განხორციელებას, აქტიულობის თემებისა და პროექტების წამოწყებას, მათ დაგეგმვა-პრეზენტაციას, ახალგაზრდების ცნობიერებისა და მოტივაციის ამაღლებას, აგრეთვე პროგრამის ფარგლებში გორის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლობასა და კოორდინაციას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვა დაინტერესებულ უწყებებთან, შედეგად გაორჯდება ახალგაზრდების დაინტერესება და ჩართულობა გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების მუნიციპალურ პროგრამაში. პროგრამის პრიორიტეტული მიმართულებები: ა) არაფორმალური განათლება; ბ) საბუნებისმეტყველო მიმართულება; გ) საგანმანათლებლო-კულტურულ-მეგეგმებითი აქტივობები (მაგ. მხიარულება და საზიარება კლუბი; საქალაქო ოლიმპიადები, ინტელექტ-ჩემპიონატი - „ეტალონი“, კონფერენციები, სემინარები და დისკუსიები და ა.შ.) • პროგრამის ფარგლებში მოხდება სკოლის კურსდამთავრებულების ფინანსური (სახლისკმა ერთიან ფრთხულ გამოცდებში ყველაზე მაღალი რეიტინგის (100%-ანი საგრანტო ქულის) მიხედვით, რომლის საფუძველზეც მოიპოვებს სწავლის გაგრძელების უფლება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში; აღნიშნული ინიციატივა ეხება კურსდამთავრებულების 2 კატეგორიას: ა) გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლების კურსდამთავრებულებს; ბ) გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ (ხოლო 2 წელი) კურსდამთავრებულებს, რომლებსაც მოუწიათ საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლა. • პროგრამის ფარგლებში აგრეთვე მოხდება სხვადასხვა საგანმანათლებლო ღონისძიებებში (საერთაშორისო კონკურსები, კონფერენციები, ოლიმპიადები) გამარჯვებული მოსწავლეების დაჯილდოვება (ფასიანი საჩუქრები/სტამპედიები), აგრეთვე სახელო ღონისძიებების ორგანიზება. • პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია „საზაფხულო ბანაკის“ მოწყობა გორის მუნიციპალიტეტის 16-დან 20 წლის ასაკის ჩათვლით ახალგაზრდებისთვის. საზაფხულო ბანაკი მიზნად ისახავს ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდას ადგილობრივი თვითმმართველობის პროცესებში. მიზანი - პროგრამის მიზნობრივი მიმართულებებია: მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში არაფორმალური განათლების ხელშეწყობა და კლასგარეშე აქტივობების/ პროექტების განხორციელება; ახალგაზრდების დაინტერესებისა და ჩართულობის გაზრდა განათლების მუნიციპალურ პროგრამაში; ახალგაზრდების წახალისება.		
მოსალოდნელი შედეგი	ხელშეწყობილია სკოლისგარეშე განათლება და უზრუნველყოფილია წარმატებული აქტიულობების მხარდაჭერა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სკოლისგარეშე განათლების ხელშეწყობა და თანადაფინანსება	დაფინანსება ათ. ლარში
	04 02 01		160,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს გორის მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლებში კლასგარეშე აქტივობების განხორციელებას, აქტუალური თემებისა და პროექტების წარმოწევას, მათ დაგეგმვა-პრეზენტაციას, ახალგაზრდების ცნობიერებისა და მოტივაციის ამაღლებას, აგრეთვე პროგრამის ფარგლებში გორის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლობასა და კოორდინაციას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვა დაინტერესებულ უწყებებთან. შედეგად გაიზრდება ახალგაზრდების დაინტერესება და ჩართულობა მუნიციპალურ პროგრამებსა და ქვეპროგრამებში. პრიორიტეტული მიმართულებები: ა) არაფორმალური განათლება; ბ) საბუნებისმეტყველო მიმართულება; გ) საგანმანათლებლო-კულტურულ-შემეცნებითი აქტივობები (მაგ. მხიარულთა და საზრიათთა კლუბი; საქალაქო ოლიმპიადები, ინტელექტ-ჩემპიონატი - „ეტალინი“, კონფერენციები, სემინარები და დისკუსიები და ა.შ.) • ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება სკოლის კურსდამთავრებულების ფინანსური წახალისება ერთიან ეროვნულ გამოცდებში ყველაზე მაღალი რეიტინგის (100 %-ანი საგრანტო ქულის) მიხედვით, რომლის საფუძველზეც მოიპოვებს სწავლის გაგრძელების უფლება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში; აღნიშნული ინიციატივა ეხება კურსდამთავრებულების 2 კატეგორიას: ა) გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლების კურსდამთავრებულებს; ბ) გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ (ბოლო 2 წელი) კურსდამთავრებულებს, რომლებსაც მოუწიათ საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლა. ქვეპროგრამის ფარგლებში აგრეთვე მოხდება სხვადასხვა საგანმანათლებლო ღონისძიებებში (საერთაშორისო კონკურსები, კონფერენციები, ოლიმპიადები) გამარჯვებული მოსწავლეების დაჯილდოვება (ფასიანი სატყუჩები/ სტიპენდიები), აგრეთვე საუკიმო ღონისძიებების ორგანიზება. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია „საზაფხულო ბანაკი“ მოწყობა გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 16-დან 20 წლის ასაკის ჩათვლით ახალგაზრდებისთვის. მიზანი: ბანაკი მოზნად ისახავს ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდას ადგილობრივი თვითმმართველობის პროცესებში, საზაფხულო ბანაკის მონაწილეები, ბანაკში - არაფორმალურ გარემოში გაივლიან სატრენინგო კურსს შემდეგ თემატიკაზე: 1. ემოციების მართვა და ეფექტური კომუნიკაცია; 2. პროფესიული ორიენტაცია, კარიერის დაგეგმვა; 3. ადგილობრივი თვითმმართველობა, სამოქალაქო აქტიურობა, ადვოკატირება; 4. პროექტების წერა; 5. ემოციური კაპიტალი; 6. მედიაინტეგრირება; 7. საბაზო სამეწარმეო უნარები; 8. ციფრული უსაფრთხოება. პროექტის დასრულების შემდეგ, ახალგაზრდებს ექნებათ შესაბამისი უნარები მოიძიონ ინფორმაცია და მოახდინონ პრობლემების იდენტიფიცირება საკუთარ თემში ან თავად გაუწიონ ადვოკატირება მათთვის საკირო და მნიშვნელოვან საკითხებს, ჰქონდეთ მჭიდრო კომუნიკაცია ადგილობრივ თვითმმართველობასთან და ერთობლივი ძალისხმევით გადაჭრან მათთვის მნიშვნელოვანი საკითხები, ამოცანა: კონკურსით გამოვლენილი ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება და მათი კომპეტენციების განვითარება. პროექტით დაგეგმილი საქმიანობები: ა) მონაწილეთა შერჩევა და დაკომპლექტება ნაკადებად, ბ) ტრენინგ-ციკლის ორგანიზება, გ) არაფორმალური ნაწილი: შემეცნებითი-კულტურული-სპორტული აქტივობების დაგეგმვა-განხორციელება თავისუფალ დროს (ვიტუბორინა, სამაგიდო თამაშები, მხიარული სტარტები, კულტურული საღამოები). მოზნობრივი ჯგუფი: გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 16-დან 20 წლის ასაკის ჩათვლით ახალგაზრდები, შერჩევის კრიტერიუმები: ა) ელექტრონული აპლიკაცია; ბ) გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 16-დან 20 წლის ასაკის ჩათვლით ახალგაზრდები; გ) სამოტივაციო წერილი, შერჩევის წესი: I ეტაპი - საპლიკაციო ფორმების გადარჩევა კრიტერიუმების შესაბამისად, რომელსაც უზრუნველყოფს მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული, II ეტაპი - გასაზრუნება, რომელსაც უზრუნველყოფს მერიის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი. პროექტის მოსალოდნელი შედეგი: გადამზადებული ახალგაზრდები, ბანაკის შემდეგ ახალგაზრდული ქსელის შექმნა, ბანაკის მონაწილეების მიერ თანატოლ		

	განმანათლებლებთან ერთად ადგილობრივ თემში სხვადასხვა აქტივობების განხორციელება, ახალგაზრდებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის კომუნიკაციის გაუმჯობესება და თანამშრომლობა. შეფასების კრიტერიუმები: 1) პროექტში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობა, 2) ფოტო/ვიდეო მასალა, 3) პროექტის შეფასების ფორმა. დამატებითი ინფორმაცია: ქვეპროგრამის ფარგლებში გორის მუნიციპალიტეტის მერია შეისყიდის საჭირო მომსახურებას „საზაფხულო ბანაკის“ განსახორციელებლად. მიზანი - პროგრამის მიზნობრივი მიმართულებებია: მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში არაფორმალური განათლების ხელშეწყობა და კლასგარეშე აქტივობების/პროექტების განხორციელება; ახალგაზრდების დაინტერესებისა და ჩართულობის გაზრდა განათლების მუნიციპალურ პროგრამაში; ახალგაზრდების წახალისება.
მოსალოდნელი შედეგი	განხორციელებულია პროექტები და გაზრდილია პროექტებში მონაწილეობის ხელშეწყობა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება და მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა	დაფინანსება ათ. ლარში
	04 02 02		2 473,9
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		გორის მუნიციპალიტეტის მერიის სფეროში მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა, საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები და ინვენტარით აღჭურვა. მიზანი - საჯარო სკოლის მოსწავლეთათვის კომფორტული სასკოლო პირობების შექმნა და სასწავლო პროცესზე დროული დასაწყება.	
მოსალოდნელი შედეგი		საჯარო სკოლის მოსწავლეთა განათლების ხელშეწყობა.	

პროგრამული კოდი	დასახელება	2025 წელი
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	6,790.7
05 01 01	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	1,544.0
05 01 02	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა	1,572.6
05 01 02 01	ფეხბურთის კლუბის განვითარების ხელშეწყობა	1,345.3
05 01 02 02	ქალთა სპორტის განვითარება	110.3
05 01 02 03	ამპუტატებისა და ფეხბურთის განვითარება	117.1
05 01 03	სპორტის განვითარების სააგენტოს ფუნქციონირების ხელშეწყობა	3,674.1
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	4,605.2
05 02 01	კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა და თანადაფინანსება	400.0
05 02 02	საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა	122.0
05 02 03	კულტურის ცენტრებისა და ანსამბლების ხელშეწყობა	2,008.2
05 02 05	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	1,053.8
05 02 06	მუსიკუმების, მიზლითიკების და მწერალთა სახლის ხელშეწყობა	682.8
05 02 07	კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების დაცვა	88.5
05 02 09	ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა	250.0
05 03	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	815.2
05 03 01	რელიგიური ორგანიზაციების ელექტრონული ხარჯის დაფინანსება	100.2
05 03 02	საკულტო ნაგებობის რეაბილიტაციის თანადაფინანსება	715.0
სულ		12,211.1
კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი		

პროგრამის დასახელება	კოდი	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	დაფინანსება ათ. ლარში
	05 01		6 790.7
პროგრამის განმახორციელებელი		გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური; ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი; ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტო	
პროგრამის აღწერა და		პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისა	

მიზანი	და ახალგაზრდებისათვის სპორტის სხვადასხვა სახეობებში ჩართულობის ხელმძღვანელობის გაზრდა, მუნიციპალური სპორტული კლუბებისა და მათ ზაზაზე არსებული ასაკობრივი ჯგუფების განვითარების ხელშეწყობა.
მიზანი - ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია. სპორტული განვითარების ხელმძღვანელობა.	
მოსალოდნელი შედეგი	ხელშეწყობილია ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, უზრუნველყოფილია სპორტის სხვადასხვა სახეობების თანაბარი ხელმძღვანელობა და წახალისებულია სპორტული მიღწევები.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	დაფინანსება ათ. ლარში
	05 01 01		1 544,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ახორციელებს გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპორტის განვითარებასა და ხელშეწყობას, მასობრივი სპორტის პოპულარიზაციას, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას, პერსპექტიული სპორტსმენების მზარდაცვრას, შპმ პირების მოწაწილეობას სხვადასხვა სპორტულ აქტივობებში, ასევე სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ორგანიზებას და სკოლის მოსწავლეთა მატეხილურ ჩართულობას სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ეგიდით გათვალისწინებულ ღონისძიებებში. სპორტის განვითარება უწყვეს კოორდინაციას და ორგანიზებას სპორტული ღონისძიებების ჩატარებასა და მონიტორინგს. მიზანი - გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპორტის განვითარება და ხელშეწყობა.		
მოსალოდნელი შედეგი	ჩატარებულია პროგრამით დაგეგმილი ყველა ღონისძიება. დაგეგმილიყოფილია წარმატებული შედეგები და სპორტსმენები.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა	დაფინანსება ათ. ლარში
	05 01 02		1 572,6
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი“ უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისა და ახალგაზრდებისაგან შემდგარი 35 ასაკობრივი ჯგუფის მომზადებას, რომელიც დაკომპლექტებულია 900-მდე მოზარდით (მათ შორის რაიონებში), ასევე უზრუნველყოფს ქალთა და ამპუტანტთა გუნდების მომზადებას წლის განმავლობაში სხვა და სხვა ასპარეზობებში მონაწილეობის მისაღებად, საფეხბურთო ვარჯიშები და წვთიწები მიმდინარეობს სპორტულ სტადიონებზე, რომელთა მოვლა-პატრონობას ახორციელებს საფეხბურთო კლუბი. ფუტსალის გუნდი წლის განმავლობაში გადის მომზადებას და წარმატებით მონაწილეობს ფუტსალის ლიგა 2-ის ჩემპიონატში, რითაც პოპულარიზაციას უწყვეს სპორტის ამ სახეობას. მიზანი - მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისა და ახალგაზრდებისათვის ფეხბურთის ხელმძღვანელობის გაზრდა, ქალთა და ამპუტანტთა ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა, გუნდების ასპარეზობა ეროვნულ ჩემპიონატებში. ფეხბურთის ერთ-ერთი სახეობის - ფუტსალის განვითარების ხელშეწყობა.		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში მცხოვრებთათვის გაზრდილია ფეხბურთის ხელმძღვანელობა და დაკავებული საპროზო ადგილები.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ფეხბურთის კლუბის განვითარება	დაფინანსება ათ. ლარში
	05 01 02 01		1 345,3
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება საფეხბურთო სკოლის დაფინანსება, რომელიც ხმარდება ფეხბურთელებისა და მწვრთნელების ხელფასებს, შეყრდენებს, საწვრთნელო პროცესს, ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობისათვის აუცილებელი ხარჯების ანაზღაურებას, ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასს და სტადიონის ფუნქციონირებისათვის სხვა აუცილებელი ხარჯების დაფინანსებას. მიზანი - საფეხბურთო სკოლისა და გუნდის წარმატებული ასპარეზობა ეროვნულ ჩემპიონატში. ფეხბურთის განვითარება და ცხოვრების წესის დამკვიდრება მოზარდებში.		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალური საფეხბურთო სტადიონის შეუფერხებელი ფუნქციონირება წლის		

	განმავლობაში გამართული ქველა სპორტული ღონისძიების მასპინძლობისთვის, ეროვნულ ჩემპიონატში გუნდების მიერ საპრიზო ადგილების დაკავება.		
--	---	--	--

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ქალთა ფეხბურთის განვითარება	დაფინანსება	
	05 01 02 02		ათ. ლარში	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი		110,3	
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქალთა საფეხბურთო გუნდის „გორი იუნაიტედი“-ს დაფინანსება, რომელიც ხმარდება ფეხბურთელებისა და მწვრთნელების ხელფასებს, შეკრებებს, სამწვრთნელო პროცესს, ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობისათვის აუცილებელი ხარჯების ანაზღაურებას, ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასს. მიზანი - ქალთა საფეხბურთო გუნდის ასპარეზობა ეროვნულ ჩემპიონატში და შემდგომ საერთაშორისო ასპარეზზე.			
მოსალოდნელი შედეგი	ეროვნულ ჩემპიონატში გუნდის მიერ საპრიზო ადგილების დაკავება.			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ამპუტანტთა ფეხბურთის განვითარება	დაფინანსება ათ. ლარში
	05 01 02 03		117,1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება გორის ამპუტანტ ფეხბურთელთა გუნდის დაფინანსება, რომელიც ხმარდება ფეხბურთელებისა და მწვრთნელების ხელფასებს, შეკრებებს, სამწვრთნელო პროცესს. მიზანი - ამპუტანტთა საფეხბურთო გუნდის წარმატებული ასპარეზობა ეროვნულ ჩემპიონატში და შემდგომ საერთაშორისო ასპარეზზე.		
მოსალოდნელი შედეგი	ეროვნულ ჩემპიონატში საპრიზო ადგილების დაკავება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტის განვითარების სააგენტოს ფუნქციონირების ხელშეწყობა	დაფინანსება ათ. ლარში
	05 01 03		3 674,1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტო		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია: 1. ზაფხუთა და მოზარდთა სპორტის სხვადასხვა სახეობებში ჩართულობა და ასაკობრივი ჯგუფების განვითარების ხელშეწყობა - ქვეპროგრამა მოზარდთა ისახავს ზაფხუთა და მოზარდთათვის ხელმისაწვდომობის გაზრდას სპორტის ისეთ სახეობებში როგორიცაა: კალათბურთი, ხელბურთი, ქადრაკი, კრიკი, ცქსტრემალური სპორტი, თავისუფალი ჭიდაობა, ძიუდო, ტანვარჯიში, კიკბოქსინგი, მკლავბიძი, ფრენბურთი, ჩოგბურთი..., სპორტის სააგენტო სულ აერთიანებს 21 სპორტულ მიმართულებას. სპორტულ სექციებში ვარჯიშობს 3205 სპორტსმენი, საიდანაც 533 გოგონაა, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით სპორტსმენების სტატისტიკა შემდეგია: 1. მოსამზადებელი (6-8წ.) 332 სპორტსმენი, 2. საწვრთნელი (9-12წ.) 869 სპორტსმენი, 3. უმცროსი საშეგობრო (13-17წ.) 1494 სპორტსმენი, 4. საშეგობრო (18-22წ.) 400 სპორტსმენი, 5. 23 წლიდან ზემოთ - 110 სპორტსმენი. დაგეგმილია როგორც ადგილობრივი ტურნირების ორგანიზება, ასევე გასვლით სპორტულ ღონისძიებებსა და ტურნირებზე მონაწილეობა და სასწავლო-საწვრთნელი შეკრებების მოწყობა. 2. ძიუდოს კლუბი „გოლდენ გორი“-ში გაწვერიანებული სპორტსმენების ხელშეწყობა მაღალი შედეგის მისაღწევად კლუბში გაერთიანებულია 7 სპორტსმენი. სპორტსმენებისათვის დაგეგმილია შრომის ანაზღაურება, სპორტული ინვენტარით უზრუნველყოფა. სპორტულ ტურნირებში მონაწილეობის მიღება როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო ასპარეზზე. 3. თ.ს.ტ. კლუბ „სხიბელში“ გაწვერიანებული სპორტსმენების ხელშეწყობა მაღალი შედეგის მისაღწევად. კლუბში გაერთიანებულია 18 სპორტსმენი. სპორტსმენებისათვის დაგეგმილია შრომის ანაზღაურება, სპორტული ინვენტარით უზრუნველყოფა, სპორტულ ტურნირებში მონაწილეობა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო ასპარეზზე. მიზანი - მუნიციპალიტეტში მცხოვრები ზაფხუბებისა და მოზარდებისათვის სპორტის სხვადასხვა სახეობებში ჩართულობის ხელმისაწვდომობის გაზრდა, ასაკობრივი ჯგუფების, ძიუდოს და თ.ს.ტ. მოჭიდავეთა კლუბების განვითარების ხელშეწყობა მაღალი შედეგის მისაღწევად.		

მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისთვის და მოზარდებისთვის ხელშეწყობილია სპორტის სხვადასხვა სახეობებში ჩართულობა და ხელშეწყობილია ასაკობრივი ჯგუფებისა და სპორტული კლუბის „გოლდენ გორის“ და ჭიდაობის კლუბი სხივრელის განვითარება.		
--------------------	--	--	--

პროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის სფეროს განვითარება	დაფინანსება ათ. ლარში
	05 02		4 605,2
პროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერია; გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის გაზეთი „გორის მაცნე“ ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტო		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია კულტურული პროექტების განხორციელება, ფესტივალების, კონკურსების, გამოფენების და ხელოვნების სხვა დარგების განვითარებით გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კულტურის სფეროს გაუმჯობესება. წარმატებული ხელოვნების, საპატიო გორელების დაჯილდოვება და მათი წახალისება. ასევე სხვადასხვა კონკურსებში და ფესტივალებში გამარჯვებული ხელოვნების დაჯილდოვება. მუნიციპალური გაზეთის „გორის მაცნე“ მუშევრებით საზოგადოებრივად მნიშვნელოვან საკითხებზე მოსახლეობის ინფორმირება; კულტურის განვითარების სააგენტოს ხელშეწყობა კულტურის ცენტრების და ანსამბლების, სახელოვნებო განათლების, მუზეუმების, ბიბლიოთეკების და მწერალთა სახლის ფუნქციონირების ხელშეწყობით. კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების დაცვა და ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა. მიზანი - კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება, ხელოვნათა შემოქმედებითი ზრდის ხელშეწყობა.		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში ხელშეწყობილია კულტურული ცხოვრების მრავალფეროვნება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა და თანადაფინანსება	დაფინანსება ათ. ლარში
	05 02 01		400,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	გორის მუნიციპალიტეტი ყოველთვის გამოირჩეოდა კულტურის სფეროში თავისი მიღწევებით. აქ აღიზარდა მრავალი ნიჭიერი თაობა, რომლებმაც სახელი გაუთქვეს ჩვენს მუნიციპალიტეტს ადგილობრივ და საერთაშორისო ასპარეზზე. გორის მუნიციპალიტეტის მერია აცხადებს მზადყოფნას, თანადაფინანსების სახით ხელი შეუწყოს ყველა ორგანიზაციას, რომლებიც მოღვაწეობენ ხელოვნების სფეროში და კულტურული პროექტების განხორციელებით, ფესტივალების, კონკურსების, გამოფენების და ხელოვნების სხვა დარგების განვითარებით უზრუნველყოფენ გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კულტურის სფეროს გაუმჯობესებას. გორის მუნიციპალიტეტის მერია თანადაფინანსების სახით ხელს შეუწყობს გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ კულტურის სფეროში მოღვაწე ხელოვნებს, ანსამბლებს, რომლებიც მოწაწილობას მიიღებენ კულტურულ ღონისძიებებში, ფესტივალებში, კონკურსებში, კულტურის სფეროსთან დაკავშირებულ კონფერენციებში, მასტერკლასებში, რისი სამუალებითაც შეძლებენ საკუთარი ნიჭის რეალიზებას და აიმაღლებენ კვალიფიკაციას, ასევე მოხდება შემოქმედი, წარმატებული ხელოვნების, საპატიო გორელების, სხვადასხვა ფესტივალებში, კონკურსებში გამარჯვებული ხელოვნების დაჯილდოვება ფასიანი საჩუქრით ან ფულადი ჯილდოთი. მიზანი - კულტურის სფეროს გაუმჯობესება.სხვადასხვა სახის კულტურული პროექტების ხელშეწყობა და თანადაფინანსება.		
მოსალოდნელი შედეგი	განხორციელებული კულტურული პროექტები და საპატიო გორელების და სხვადასხვა კონკურსებში გამარჯვებული წარმატებული ხელოვნების წახალისება, დაჯილდოვება ფასიანი საჩუქრით ან ფულადი ჯილდოთი.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა	დაფინანსება ათ. ლარში
	05 02 02		122,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის გაზეთი „გორის მაცნე“		

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	გაზეთი „გორის მაცნეს“ საქმიანობა - საზოგადოებრივად მნიშვნელოვან საკითხებზე მკითხველისათვის ინფორმაციის მიწოდება. მთავრობის გადაწყვეტილებებისა და მოქმედ პროგრამებზე ცნობადობის ამაღლება, ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ მიღებული ნორმატიული აქტების და მოქმედი პროგრამების შესახებ მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიწოდება, საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი პრობლემების იდენტიფიცირება, კომპეტენტური პირებისგან შესაბამისი პასუხების მოძიება, ასევე აუდიტორიის კოდზე უფრო მეტად გაზრდის და საზოგადოების უფრო დიდი ნაწილისთვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით ვებ გვერდზე გაზეთის ელექტრონული ვერსიის წარმოება. მიზანი - მოსახლეობისათვის ქვეყანაში და რეგიონში არსებული მიმდინარე მოვლენების გაშუქება და საჭირო ინფორმაციის დროულად მიწოდება.
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობა ინფორმირებულია მნიშვნელოვანი ინფორმაციით.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის ცენტრებისა და ანსამბლების ხელშეწყობა	დაფინანსება ათ. ლარში
	05 02 03		2 008,2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურის განვითარების ხელშეწყობის სააგენტო		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, შესაბამისი ცენტრების, სკოლების, კლუბების, სეცციების მეშვეობით მოსწავლე-ახალგაზრდებისთვის კულტურული, საგანმანათლებლო და შემოქმედებითი საქმიანობის განხორციელება; კულტურის განვითარებაში შედის 9 რაიონის - ხიდისთავის, ახალხზის, ქიწნისის, მეფერისხევის, ტყეაივის, ზურტის, ძველის, ნიქოზის ზაფხუთა და ახალგაზრდული ცენტრები და ქ. გორის, სუბიშვილის №20-ში განთავსებული ზაფხუთა და ახალგაზრდული ცენტრი. ქალაქში არსებული წრეები: ვოკალის, ქართული ენის, საესტრადო ენის, ქორეოგრაფიული ცეცხის, რუსული ენის, ინგლისური ენის, თექის, ხალხური საკრავების (დოლეზი და საგალობელი), თეატრალური; რაიონებში არსებული წრეები: შინდისი - გიტარის, ვარიანტი - ხალხური საკრავების, ძვერა - ხატვის, ხალხური სიმღერების; ზედდულეთი - ქადრაკის, კარაღეთი - ჭრა-კრევის, ქაოვის, ხატვის; ფლეგისმანი - ხელგარეილობის, ხიდისთავი - ქაოვის, ხატვის, დოლეზის; ქუაბერელი - ქადრაკის, ატყი - სიმღერის, ზემეზი - სიმღერის, მათემატიკის; მეფერისხევი - ცეცხის, კულტურული, ახალგაზრდული პროექტებისა და მუსიკალური და ქორეოგრაფიული ანსამბლების მხარდაჭერის მიზანია მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის ქართული ეროვნული და მსოფლიო ხელოვნებისა და კულტურის საფუძვლების გაგნობა, მათი სამოქალაქო საზოგადოებაში დამკვიდრების ხელშეწყობა. ესთეტიკურ და ზეიქობრივ აღზრდაზე ზრუნვა. მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის ფორმალური და არაფორმალური განათლების მოსაძებნად შესაბამისი კლასების, შემოქმედებითი კლუბების, სეცციების, წრეების, ჯგუფების ისეთი შემეცნებით-სახელოვნებო მიმართულებებით ჩამოყალიბება როგორც: ქორეოგრაფიული, ფოლკლორული, ვოკალურ-ინსტრუმენტალური, ჟურნალისტიკური, თეატრალური, ხალხური რეჟისი და სხვა. ასევე საგანმანათლებლო საგანმანათლებლო მიმართულებით კულტურულ-შემოქმედებით და საგანმანათლებლო პროგრამებში იმუშავებთ გადაადგილებულ, სოციალურად დაუცველ და საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულ მებრძოლთა ოჯახების შვილების (მოსწავლეების) ჩართვა. აღნიშნული კატეგორიის მოსწავლეებთან ურთიერთობა წარმოადგენს პრიორიტეტს. ასევე, სპეციალური საჭიროებების მქონე პირების (მოსწავლეების) კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამებსა და პროექტებში ჩართვა, მათთვის შესაბამისი ადაპტირებული გარემო-პირობების შექმნა და ინკლუზიური განათლების სპეციფიკის ხელშეწყობა. აგრეთვე, განსაკუთრებული უნარ-ჩვევების მქონე მოსწავლე-ახალგაზრდების გამოვლენა და მათი განვითარების ხელშეწყობა. მიზანი - მოსწავლე-ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა.		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი კულტურის დაწესებულებები ფუნქციონირებენ შეუფერხებლად. კულტურის სახლების მიერ სრულად არის დაკმაყოფილებული ქორეოგრაფიული, ფოლკლორული და საესტრადო წრეებზე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ზაფხულებისა და მოზარდების მოთხოვნა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	დაფინანსება ათ. ლარში
	05 02 05		1 053,8
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურის განვითარების ხელშეწყობის სააგენტო		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი ქვედა საფეხურის სამუსიკო განათლების 5 სკოლა: სკრის, ატყის, ტირმისის, ტყეაივის,		

	ხელთუბნის. საშაზო-საორიენტაციო - ქ. გორში, ვანო მურადილის სახელობის სამუსიკო სკოლა. სამუსიკო სკოლებში გაერთიანებულია საფორტეპიანო, თეორიული, ვიოლინოს, ხალხური საკრავების, კლასიკური გიტარის და სხვა მიმართულებები. სამუსიკო და ხელოვნების სკოლებში დაწყებით სამუსიკო განათლებას იღებს გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 1020 ბავშვი (მათ შორის: გოგო - 740, ბიჭი - 280) საშაზტრო სკოლაში ბავშვები ეუფლებიან ფერწერას, ხატვას, კომპოზიციას, ქანდაკებას, გორელქს, ეტრასს და სატყერას. საშაზტრო სკოლაში დაწყებით საშაზტრო განათლებას იღებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 258 ბავშვი (მათ შორის: გოგო - 203, ბიჭი - 55).
მოსალოდნელი შედეგი	მიზანდობში მიღებულია დაწყებითი და სახელოვნებო განათლება.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუხეუმების, ზიბლიოთეკების და მწერალთა სახლის ხელშეწყობა	დაფინანსება ათ. ლარში
	05 02 06		682,8
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)პ გორის მუნიციპალიტეტის კულტურის განვითარების ხელშეწყობის სააგენტო		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი შემდეგი ობიექტები: ისტორიულ-ეთნოგრაფიული და საბრძოლო დიდების მუხეუმები; ნიკო ლომოურის და ალექსანდრე ჯეგაძის სახლ-მუხეუმები; ე.წ. „ერეკლეს აბანო“; 3 ზიბლიოთეკა - ცენტრალური, მოზრდილი და საბავშვო, მწერალთა სახლი. მუხეუმებში დღეის მდგომარეობით განთავსებულია 114 126 ექსპონატი. წლის განმავლობაში ვიზიტორთა რაოდენობა საშუალოდ შეადგენს 3 215-ს. ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუხეუმის ეზოში იგეგმება ევროკავშირის მიერ აშენებული ქართული ტრადიციული სახლის ნიშნის გახსნა. ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუხეუმის რეაბილიტაცია დასრუდება და უკვე ახალ რეაბილიტირებულ მუხეუმში იგეგმება ნიმიზმატიკის დარბაზის გახსნა უახლესი ტექნიკის აღჭურვილობით. ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუხეუმში ექვეა სამეცნიერო-კვლევითი და კულტურულ საგანმანათლებლო საქმიანობას, რომლის მუშაობის პრინციპია „გაეფუფთხილდეთ წარსულს უკეთესი მომავლისათვის“. ზიბლიოთეკა არის კულტურულ-საგანმანათლებლო სამეცნიერო-ინფორმაციული დაწესებულება, რომლის მნიშვნელოვანი სოციალური ფუნქციაა სრულად და ეფექტურად გამოიყენოს თავისი ფონდები და სხვა ზიბლიოთეკო რესურსები ფიზიკურ და ოურიდიულ პირთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ზიბლიოთეკების წიგნადი ფონდი შეადგენს 112 148 ერთეულს. ზიბლიოთეკების მომსახურებით სარგებლობს მუნიციპალიტეტში მცხოვრები დაახლოებით 383 000 მოსახლე. აგრეთვე შექმნილია მოხუცთა და ინვალიდთა სპეციალიზებული ზიბლიოთეკო მომსახურება. ღონიძებები იგეგმება წლის განმავლობაში აქტუალური თემატიკის მიხედვით და ასევე მკითხველთა მოთხოვნების გათვალისწინებით. ადგილობრივი მწერლების შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა და განვითარება, ლიტერატურული საქმიანობის ხელშეწყობა, ადგილობრივი მწერლების შემოქმედების პოპულარიზაცია, ახალგაზრდა შემოქმედთა კონსულტირება, ზეპდარი და ელექტრონული გამოცემების მომზადება, მთარგმნელობითი საქმიანობის განხორციელება, თანამედროვე სალიტერატურო ნორმების დამკვიდრების ხელშეწყობა, შემოქმედებითი, სამეცნიერო და საგანმანათლებლო ღონიძებების ორგანიზება, ლიტერატურული კონკურსების ჩატარება, გამოცემების მოწყობა. მიზანი - ზიბლიოთეკებისა და მუხეუმებისადმი მოსახლეობის და ახალგაზრდობის დაინტერესების და ჩართულობის გაზრდა. ძველი თაობის და ახალგაზრდა მწერლების პოპულარიზაცია.		
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია მუხეუმების და ზიბლიოთეკის შეუფერხებელი ფუნქციონირება, გაზრდილია ზეპდებითი ელექტრონული პუბლიკაციების და ჩატარებული კულტურულ-საგანმანათლებლო ღონიშნიშების რაოდენობა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების დაცვა	დაფინანსება ათ. ლარში
	05 02 07		88,5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერია		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია გორის ციხის ტერიტორიაზე განთავსებული დეკორატიული განათების სისტემის დაცვა.		

	მიზანი - განათების სისტემის დადგენი უზრუნველყოფა.
მოსალოდნელი შედეგი	დაცული განათების სისტემა

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა	დაფინანსება ათ. ლარში
	05 02 09		250,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ახალგაზრდული პროგრამების/პროექტების თანადაფინანსება - ახალგაზრდული საქმიანობის განვითარება საქართველოში იმერს ახალ სახეს, ევროპის განვითარებული ქვეყნების ნაბიჯების აყოლის მიზნით, აღნიშნულ დარგში მნიშვნელოვანია თვითმმართველობის პროცესებში საზოგადოების ინტენსიური ჩართვა, რამე თუ ახალგაზრდული საკითხები ეს არ არის მხოლოდ ახალგაზრდების საქმე ან მხოლოდ ახალგაზრდული განყოფილების. აღნიშნულიდან გამომდინარე, ევროსტანდარტების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანი ფოკუსირება ხდება ვერტიკალურ და ორგანიზაციების მიერ (დანიტერესების შემთხვევაში) მხარდაჭერილი/წარმოდგენილი პროექტების ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან ფინანსური უზრუნველყოფით განხორციელებულ პროექტებს. აღნიშნული სისტემა ასევე ორიენტირებულია ახალგაზრდების ჩართულობის უმაღლესი საფეხურის დაკავებაზე (ახალგაზრდების ჩართულობის კიბე), რაც ახალგაზრდების როლის ზრდის ახალგაზრდული პროექტების დაგეგმვასა და გადამწყვეტილების მიღების პროცესში. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ამგვარად დაგეგმილი და განხორციელებული პროექტები არის როგორც ხარისხობრივად ასევე ფინანსური კუთხით მოქმედი და ეფექტური.		
	მიზანი - ახალგაზრდული ორგანიზაციების განვითარება, შემდგომში ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების და ახალგაზრდების ჩართულობის ზრდის მიზნით.		
